განკარგულება:**g-19. 19261186**
თარიღი:**28/04/2026**

განკარგულება №45

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლიანა სარატიკიანის, ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელების დავით კაკრიაშვილის და ვუგარ მამედოვის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 23 აპრილის № 153/04 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ლიანა სარატიკიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 900 (ცხრაასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ემილ ისმაილოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - დავით კაკრიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“. მწვრთნელის - ვუგარ მამედოვის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენებისა და მწვრთნელების პირად საბანკო ანგარიშებზე:
ლიანა სარატიკიანი - 900 (ცხრაასი) ლარი, პ/ნ [redacted]. თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ჯურგენი სარატიკიანის პ/ნ [redacted] საბანკო ანგარიშზე: [redacted];
დავითი კაკრიაშვილი - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი, პ/ნ [redacted], [redacted];
ემილ ისმაილოვი - 1000 (ათასი) ლარი, პ/ნ [redacted] თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის ელჩინ ისმაილოვის პ/ნ [redacted] საბანკო ანგარიშზე: [redacted]
ვუგარ მამედოვი- 500 (ხუთასი) ლარი, პ/ნ [redacted].

მუხლი 3
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
მუხლი 4
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი